საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 2 თებერვლის

დადგენილება №1905

2015–2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან
სტუ-ის დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2015–2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (დანართი 1);
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
4. დამტკიცდეს 2015–2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების და თანმდევი დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიის შემადგენლობა (დანართი 2).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე